ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N26

21.02.2024

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2024 წლის 21 თებერვალი 15:00 სთ
სხდომის ჩატარების ადგილი: შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“
ადმინისტრაციული შენობა
ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი N71ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N26 სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:

გია ბასილაძე, ელეონორა არჩაია, ამირან კოპალეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, მერაბ ჭოხონელიძე, ირაკლი შენგელია.

სულ: 16 წევრიდან 9 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

გიორგი კილაძე, გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, რომან ქვაჩაკიძე, პაატა ლილუაშვილი, კობა გურული, დარეჯან ფხაკაძე.

სულ: 7 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, ბ-ნი **ა.ჩიხლაძე,** ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე, ბ-ნი **მ.ხიდაშელი**, შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი, ბ-ნი **ი.ცხვედიანი**, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბ-ნი **ი.უგულავა**, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბ-ნი **დ.ნიშნიანიძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ: „მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ, გასვლით სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N26 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

ბატონი **ანტონ ჩიხლაძე**
მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის
განვითარების სამსახურის უფროსი

2. შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

ბატონი **ირაკლი ცხვედიანი**
შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ხელმძღვანელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N26 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - „მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ";

(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ მ.ხიდაშელს".

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე მ.ხიდაშელი: „2023 წელს მნიშვნელოვანი დაფინანსება მივიღეთ, საიდანაც 10 მლნ ლარი მოდიოდა რგფ-ზე, 10 მლნ ლარი სპეციალურ ტრანსფერზე, 2 მლნ ლარი სტიქიის ღონისძიებების ფარგლებში, 8,7 მლნ ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2023 წელს სამსახურის მიერ წარომართა პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული სამუშაოები: გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა – პატრონობის

საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები; სანიაღვრე სისტემების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები; საყრდენი კედლების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები; ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა რეკონსტრუქცია; გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები; ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია; მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების ხელშეწყობა; სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება; სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია; მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება და საბინაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „იქნებ გავითვალისწინოთ, რომ პროექტების და ღონისძიებების შესრულებისას ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გადანაწილებას მიექცეს ყურადღება“.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „პროექტები თანაბრად ვერ გადანაწილდება. შეიძლება ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს მოუწიოს ერთ წელს მეტი, და სხვას ნაკლები. ეს პროექტების განხორციელების სპეციფიკით და პრიორიტეტებით არის განპირობებული“.

კომისიის წევრი ე.არჩაია: „თამარ მეფის ქუჩაზეც არის რიგი პრობლემები პროექტების განხორციელების კუთხით“.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „ამ ლოკაციაზე კულტურული მემკვიდრეობის ბევრი ობიექტია, რაც ართულებს სამუშაოების დაგეგმვას და წარმართვას“.

კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „ყოფილი პროკურატურის შენობაც სავალალო მდგომარეობაშია“.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „აქ ველოდებით სამხარაულის დასკვნას შენობის მდგომარეობის შესახებ. აქ მხოლოდ მე-3 სართულია ჩვენი და ერთიანად უნდა მოხდეს მისი გაყიდვა. აქ მიწა თანასაკუთრებაა.

კომისიის წევრი ზ.მამასახლისი: „იგივე მდგომარეობაშია უნივერსიტეტის სიახლოვეს, ფოსტის შენობის ფასადიც“.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „აქაც რთული მდგომარეობაა, სადაც 22 კერძო მფლობელი გვყავს. 2-ჯერ დაჯარიმდა ჩვენს მიერ. იურიდიულ მისამართებზე ყველგან დავგზავნეთ, თუმცა ფართები დაკეტილი აქვთ. მხოლოდ „სილკნეტი“ მოდის კონტაქტზე და გვემუშავება. პროექტის შესყიდვაზეც მზადაა. დანარჩენი თანამფლობელებისაგან საჭიროა თანხმობის მიღება“.

კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „რა მდგომარეობაშია პარლამენტის შენობა და რა პერსპექტივა გააჩნია?“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „რთულად მოსავლელი და შესანახი შენობაა. ესაჭიროება მუდმივი ვენტილაცია, რაც დიდ დანახარჯებს უკავშირდება.

ფაქტობრივად ჭაობზე დგას. აქ აუცილებლად სახელმწიფო დაწესებულება უნდა შევიდეს, რომ სახელმწიფომ შეინახოს.

კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „რა მდგომარეობაა მე-11 სპორტული სკოლის რეაბილიტაციის მიხედვით?“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „შენობას არ ვანგრევთ, ვაუმჯობესებთ. პროექტის ღირებულება 60 ათასი ლარია. თუ კორტებს გავაკეთებს, რაზეც 2 მლნ ლარი იხარჯება, მაშინ ამ სკოლის კორტებს გადავიტანთ და იმ ადგილას მწვანე სივრცეს გავაკეთებთ“.

კომისიის წევრი ა.კოპალეიშვილი: „თუ დაგრჩათ ე.წ. „გადმოყოლილი პროექტები“ და რა მოცულობით?“

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე მ.ხიდაშელი: „დაახლოებით 3 მლნ ლარია. რგფ-დან 2 მლნ ლარი მიღებული გვაქვს და ცვლილებას მალე შემოვიტანთ საკრებულოზე. 9 მლნ ლარზე გამოცხდებულია შესყიდვები. ობიექტების უმეტესობაზე სამუშაოები დაწყებულია. საპილოტე რეგიონების ფარგლებში ჯომარდობის გამშვები პუნქტები გავაკეთეთ. ნიკეას მე-2 შესახვევში სანიაღვრის ხელშეკრულება გავაფორმეთ 1 მლნ ლარზე“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „გამოდის, რომ ნიკეაზე ღვარსადენის პრობლემა მოიხსნება“

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე მ.ხიდაშელი: „დიახ, ნიკეაზე გაჩნდება მიმღები და პრობლემა მოგვარდება“

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „კვლავ პრობლემურია სასულეების საკითხი. რთული მდგომარეობაა მე-8 სკოლასთან, სადაც სასულეებთან მიერთებულია კანალიზაცია, ასევე ტყიბულის ქუჩის მე-4 ჩიხში.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი.უგულავა: „ტყიბულის ქუჩისთვის ვყიდულობთ ძვირადღირებულ პროექტს. ზოგადად სასულეებზე დაყრდნობა არ შეიძლება. საქაჩი სისტემაც არ არის გამოსავალი. ჩვენი მიზანი უნდა გახდეს გაკეთდეს შემკრები და მივიდეს სასულეებამდე, სადაც ეს შესაძლებელია“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

„მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული“;

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხი - შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „დღის წესრიგის მეორე საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ შპს-ის ხელმძღვანელს, ბატონ ი.ცხვედიანს“.

ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორი ი.ცხვედიანი: „ქალაქს ვემსახურებით 2021 წლის დასაწყისიდან. 2023 წელი ძალზე დატვირთული იყო ჩვენთვის. გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობაა 8 მლნ კაცი, რაც წინა ორ წელზე მეტია. შემოსავლებმა 4682 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო შეღავათებმა 1300 ათასი ლარი. ძირითადი ხარჯებია: შრომის ანაზღაურება, რომელზეც დაიხარჯა 3323 ათასი ლარი და საწვავის შეძენა, რომელზეც დაიხარჯა 3420 ათასი ლარი. 184 თანამშრომლიდან 104 მძღოლია, 25 ადმინისტრაციული თანამშრომელი. ჩვენთვის მთავარია დიზელის ღირებულების ცვლილება. როცა ფასი იმატებს, მაშინ ხარჯიც გვეზრდება. ტექმომსახურებაზე გვაქვს ხელშეკრულება 2 კომპანიასთან, რომლებიც ადგენენ ტექნიკური მომსახურების საჭიროებას და ახდენენ შეკეთებას. გარანტიის გასვლის შემდეგ ხარჯები გაგვეზრდება 600-700 ათასი ლარით, რაც გავითვალისწინეთ მიმდინარე წლის ბიუჯეტში. ჯარიმების სახით 104 ათასი ლარია ამოღებული. ამის რესურსიც ფაქტობრივად ამოწურულია. შეღავათების გამო შემოსავლებმაც მოიკლო“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „მძღოლები რამდენ დღეს მუშაობენ და რამდენია მათი ხელფასი?“

ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორი ი.ცხვედიანი: „ორი რეჟიმი გვაქვს: მთლიანი და ნაწილობრივი. თვეში 15 დღიანი მუშაობაა ნორმალური რეჟიმი. სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში 1700 ლარსაც აღწევს“.

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „მძღოლების რაოდენობა საკმარისია?“

ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორი ი.ცხვედიანი: „გვაქვს ვაკანსია დაახლოებით 20 ადგილზე“.

კომისიის წევრი ე.არჩაია: „მანქანები და თანამშრომლები თუ არიან დაზღვეული?“

ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორი ი.ცხვედიანი: „დიახ, დაზღვეულები არიან“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

„შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული“;

ამით კომისიის ოცდამეექვსე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე